პრეზიდენტი
ჰენრი ბ. აირინგი
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი

სახარების გაზიარება გულიდან გულში

ღმერთი მომზადებულ ადამიანებს შეახვედრებს თავის იმ მომზადებულ მსახურებს, რომლებსაც სახარების გაზიარების სურვილი გააჩნიათ. თქვენს ცხოვრებაშიც ხომ მომხდარა მსგავსი რამ. ის, თუ რამდენად ხშირად ხდება ეს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომზადებულია ამისთვის თქვენი გული და გონება.

მე მყავს მეგობარი, რომელიც ყოველდღე ლოცულობს იმაზედ, რომ ისეთ ადამიანს შეხვდეს, რომელიც მზადაა მიიღოს სახარება. ის თან მორმონის წიგნს ატარებს. ერთხელ, როდესაც ის ხანმოკლე მოგზაურობისთვის ემზადებოდა, გადაწყვიტა წიგნის მაგივრად ბარათის წაღება. მაგრამ გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე მას სულმა შთააგონა: „გაიყოლე მორმონის წიგნი“. ის ასეც მოიქცა.

როდესაც მგზავრობისას მის გვერდით ნაცნობი ქალბატონი დაჯდა, მან იფიქრა: „ნუთუ ეს ის არის“? ეს ქალბატონი უკანა გზაზედ მასთან ერთად დაბრუნდა. ჩემმა მეგობარმა იფიქრა: „როგორ უნდა მივაწოდო სახარება“?

ამის ნაცვლად ქალბატონმა ჰკითხა: „თქვენს ეკლესიაში მეათედს იხდიან, ხომ ასეა“? ჩემმა მეგობარმა დაუდასტურა. ქალბატონმა უთხრა, რომ მასაც მოეთხოვებოდა მეათედის გადახდა თავის ეკლესიაში, თუმცა ის არ იხდიდა. შემდეგ მან ჰკითხა: „მორმონის წიგნზე რას მეტყვით“?

ჩემმა მეგობარმა აუხსნა, რომ ეს წიგნი წარმოადგენს წმინდა წერილს და არის კიდევ ერთი დამოწმება იესო ქრისტეზე და რომ ის წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითის მიერ არის ნათარგმნი. ქალბატონი ამით დაინტერესდა, ასე რომ ჩემმა მეგობარმა ჩანთიდან წიგნი ამოიღო და უთხრა: „მე შთაგონებით გამოვიყოლე ეს წიგნი და ვფიქრობ, რომ ის თქვენთვისაა განკუთვნილი“.

ქალბატონმა წიგნის კითხვა დაიწყო. დამშვიდობებისას მან უთხრა ჩემს მეგობარს: „ჩვენ ამის შესახებ კვლავ მოგვიწევს საუბარი“.

ჩემმა მეგობარმა არ იცოდა ის, რაც ღმერთმა იცოდა: ეს ქალბატონი ეკლესიას ეძებდა. ღმერთმა იცოდა, რომ ის უყურებდა ჩემს მეგობარს და სურდა გაეგო, თუ როგორ გააბედნიერა ასე ძალიან ჩემი მეგობარი ეკლესიამ. ღმერთმა იცოდა, რომ მას გაუჩნდებოდა კითხვა მორმონის წიგნზე და მოისურვებდა მისიონერებისგან გაკვეთილების მიღებას. ის მომზადებული იყო. ჩემი მეგობარიც იყო მზად. მეც და თქვენც ასევე შეგვიძლია მზად ვიყოთ.

მომზადება, რომელიც გვესაჭიროება, ეხება ჩვენს გულსა და გონებას. იმ ქალბატონმა მოისმინა და დაიმახსოვრა სიტყვები, რომლებიც ითქვა მორმონის წიგნზე, უფლის აღდგენილ ეკლესიასა და მცნებაზე-შეწირო მეათედი

ღმერთს. ეს მის გულში ჭეშმარიტების დამოწმების დასაწყისის შეგრძნება იყო.

უფალმა გვითხრა, რომ ის გაგვიმხელს ჭეშმარიტებას გულში და გონებაში სული წმინდის მეშვეობით (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 8:2). ადამიანების უმეტესობას, რომლებსაც თქვენ შეხვდებით, უკვე გავლილი აქვთ მოსამზადებელი საფეხური. მათ სმენიათ ან წაუკითხავთ ღმერთისა და მისი სიტყვის შესახებ. თუ მათი გულები მშვიდია, მათ უგრძვნიათ, შესაძლოა ძალიან სუსტად, ჭეშმარიტების დასტური.

ის ქალბატონი მზად იყო. მზად იყო ასევე ჩემი მეგობარიც, უკანასკნელი დღეების წმინდანი, რომელმაც შეისწავლა მორმონის წიგნი. მან იგრძნო წიგნის ჭეშმარიტების დამოწმება და ამოიცნო სულიწმინდის კარნახი — თან წაეღო იგი. ის მზად იყო გულითაც და გონებითაც.

ღმერთი ამზადებს ადამიანებს თქვენი აღდგენილი ჭეშმარიტების დამოწმების მოსასმენად. ის მოითხოვს თქვენგან რწმენასა და შემდეგ მოქმედებას — უშიშრად გაუზიაროთ სხვებს ის, რაც გახდა ასე ძვირფასი თქვენთვის და ასევე მათთვის, ვინც თქვენ გიყვართ.

მოემზადეთ სახარების გაზიარებისთვის. ამისთვის ყოველდღიურად დატვირთეთ გონება სახარების ჭეშმარიტებით. როდესაც თქვენ იცავთ მცნებებს და პატივს მიაგებთ თქვენს მიერ დადებულ აღთქმებს, თქვენ იგრძნობთ სული წმინდის დამოწმებას და უფრო მეტად იგრძნობთ მხსნელის სიყვარულს როგორც საკუთარი თავის, ასევე მათ მიმართ, ვისაც შეხვდებით.

თუ თქვენ საკუთარ ვალდებულებებს შეასრულებთ, უფრო და უფრო მეტ სასიამოვნო გამოცდილებას მიიღებთ იმ ხალხის სახით, ვინც მზადაა მოისმინოს თქვენგან ჭეშმარიტების დამოწმება გულიდან გულში.

ამ მოწოდების სწავლება

წაიკითხეთ ეს მოწოდება ოჯახის წევრებთან ერთად და განიხილეთ ბოლოს წინა აბზაცი, სადაც პრეზიდენტი აირინგი საუბრობს ჩვენი დამოწმებების განმტკიცების ხერხებზე. განიხილეთ ოჯახთან ერთად სახარების გაზიარების დროს საკუთარი დამოწმების გაზიარების მნიშვნელობა. თუ გყავთ ოჯახში ბავშვები, კარგი იქნება, თუ გაითამაშებთ მეგობრებისთვის დამოწმების გაზიარების პროცესს.

ახალგაზრდები

იცოდე რა უნდა თქვა

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ სახარების გაზიარებისთვის არ გაქვთ საკმარისი ცოდნა, თქვენ ნუგეშს მოგიტანთ შემდეგი დაპირება წმინდა წერილიდან:

აიმაღლეთ ხმა ამ ხალხის წინაშე; უთხარით ის, რასაც ჩაგიდებთ გულში, და თქვენ არ დამარცხდებით ადამიანებთან;

რამეთუ ის, რაც უნდა თქვათ, მოგეცემათ საჭირო დროს, დიახ, საჭირო წუთში (მოძღვრება და აღთქმები 100:5–6).

ხოლო ნუგეშისმცემელი კი, სული წმინდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს (იოანე 14:26).

ეს დიადი დაპირებებია, მაგრამ მათ მისაღებად ჩვენ ჩვენი კუთვნილი ნაწილი უნდა შევასრულოთ. ამ მოწოდებაში პრეზიდენტმა აირინგმა გვასწავლა, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს: „მოემზადეთ სახარების გაზიარებისთვის ისე, რომ ყოველდღიურად დატვირთოთ გონება სახარების ჭეშმარიტებით“. რა შეიძლება გააკეთოთ იმისთვის, რომ აავსოთ გონება სახარების ჭეშმარიტებით?

ბავშვები

მოემზადეთ გაზიარებისთვის

პრეზიდენტი აირინგი ამბობს, რომ სახარების გაზიარების მნიშვნელოვანი ხერხია დავტვირთოთ გონება სახარების ჭეშმარიტებით. რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისთვის, რომ მოემზადოთ გაზიარებისთვის?

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *First Presidency Message, September 2012.* Georgian. 10369 131

განსაკუთრებული საჭიროებანი და გაწეული მსახურება

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

„სხვათა საჭიროებანი ყოველთვის არსებობს“, - ბრძანა პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა, „და თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია რაიმე გააკეთოს სხვების დასახმარებლად. . . .თუ ჩვენ თავდავიწყებით არ მივეცემით სხვების მსახურებას, ჩვენი ცხოვრება მეტად უმნიშვნელო იქნება“.[1]

ჩვენ, როგორც შინა მასწავლებლებს, შეგვიძლია გულწრფელად გავიცნოთ და შევიყვაროთ თითოეული და, რომელთანაც ვსტუმრობთ. ჩვენი მათდამი სიყვარული ბუნებრივად გამოიწვევს ჩვენს მათ მიმართ მსახურებას (იხ. იოანე 13:34–35)

როგორ შეიძლება გავიგოთ ჩვენი დების სულიერი და მიწიერი საჭიროებანი იმისთვის, რომ დროულად გავუწიოთ მათ დახმარება? ჩვენ, როგორც შინა მასწავლებლებს, უფლება გვაქვს მივიღოთ შთაგონება როდესაც ვლოცულობთ მათთვის, ვისთანაც ვსტუმრობთ.

ჩვენს დებთან სისტემატიური კონტაქტის შენარჩუნება ასევე მნიშვნელოვანია. პირადი ვიზიტი, სატელეფონო ზარი, გამამხნევებელი ბარათი, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილი, გვერდით ჯდომა, გულწრფელი კომპლიმენტი, ეკლესიაში მეგობრული ურთიერთობის დამყარება, ავადმყოფობის ან გაჭირვების დროს ხელის გაწვდენა და მსახურების სხვა ნაირსახეობანი გვეხმარება ერთმანეთის გაძლიერებასა და ზრუნვაში.[2]

შინა მასწავლებელს მოეთხოვება დებში არსებულკეთილდღეობაზე ან განსაკუთრებულ საჭიროებებზე ანგარიშის ჩაბარება, ასევე მოხსენება იმაზე, თუ რა სახის მსახურება გაუწიეს მათ. ამგვარი მოხსენება და ჩვენი მსახურება დების მიმართ გვეხმარება ჩვენი მოწაფეობის გამოვლენაში.[3]

წმინდა წერილებიდან

იოანე 10:14–16; 3 ნეფი 17:7, 9; მორონი 6:3–4

ჩვენი ისტორიიდან

ურთიერთმსახურება ყოველთვის წარმოადგენდა შინა მასწავლებლის პროგრამის გულს. უწყვეტი მსახურებით ჩვენ ვავლენთ სიკეთესა და მეგობრობას, რომელიც ყოველთვიური სტუმრობის ჩარჩოებს სცილდება. ჩვენი ზრუნვაა ის, რასაც მნიშვნელობა აქვს.

„მე სურვილი მიჩნდება შევევედრო დებს: ნუ წუხდებიან სატელეფონო ზარისა, ყოველთვიურ ან კვარტლურ სტუმრობებზე ფიქრით“, - თქვა მოწყალების საზოგადოების მე-13 გენერალურმა პრეზიდენტმა, მერი ელენ სმუტმა. მან გვთხოვა, „ნაზი სულების აღზრდის ნაცვლად მოვიკრიფოთ გონება“.[4]

პრეზიდენტი სპენსერ ვ. კიმბალი (1895–1985) გვასწავლიდა: „ ღვთის სასუფეველში აუცილებელია ურთიერთმსახურება“. ამავე დროს ის აღიარებდა, რომ არ არის აუცილებელი გმირული მსახურება. „ასე რომ ხშირად ჩვენი მსახურება წარმოადგენს უბრალო გამხნევებას ან მიწიერი დავალებების შესრულებაში დახმარების გაწევას“, — თქვა მან. „მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანი შედეგი შესაძლოა მოყვეს პატარა, მაგრამ კარგად დაგეგმილ მოქმედებას“![5]

შენიშვნები

1. თომას ს.მონსონი, „რა გავუკეთე დღეს სხვას“? *ლიაჰონა* , ნოემბერი, 2009, გვ.85
2. იხილეთ *Handbook 2: Administering the Church* (2010), 9.5.1; 9.6.2.
3. იხილეთ *Handbook 2,* 9.6.2.
4. მერი ელენ სმუტი, *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011წ.), გვ.117.
5. *Teachings of Presidents of the Church: Spencer W. Kimball* (2006), 82.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. ვეძებ მე პირად შთაგონებას იმისთვის, რომ ვიცოდე, თუ როგორ ვუპასუხო ყოველი დის, რომელთანაც ვსტუ-მრობ, სულიერ თუ მიწიერ საჭიროებებს?

2. როგორ იგრძნონ დებმა, რომლებიც ჩემზე არიან მომა-გრებულნი, რომ მე ვზრუნავ მათზე და მათ ოჯახებზე?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *Visiting Teaching Message, September 2012.* Georgian. 10369 131